

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის
სამეცნიერო ჟურნალების
მომზადება
საერთაშორისო სტანდარტების
მოთხოვნების შესაბამისად

პროექტის ხელმძღვანელი:

ტ.მ.დ. მადონა კოპალეიშვილი
ტექინფორმის მთ. მეცნიერ-თანამშრომელი

შემსრულებლები:

ირინა ბედინაშვილი - ტექინფორმის მეცნიერ-თანამშრომელი
მაკა ქვლივიძე - სტუ-ს სტუდენტი

კონსულტანტები:

ტ.მ.დ. ლევონ ჩობანიანი - ტექინფორმის საინფორმაციო
ტექნოლოგიების განვითარების განყოფილების უფროსი
ტ.მ.დ. ნელი მახვილაძე - ტექინფორმის დირექტორი

პროექტი შესრულებულია სტუ-ს ახალგაზრდა მეცნიერთა და
სტუდენტთა ინიციატიურ საქმიანობათა ხელშემწყობი სამსახურის
- „ერთად“ მონაწილეობითა და ფინანსური მხარდაჭერით.

ხელმძღვანელი:

სტუ-ს სრული პროფესორი, ტ.მ.დ. მერაბ ახოზაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ტექინფორმი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამეცნიერო პუბლიკაციების სტანდარტიზაციისა
და მეცნიერმზომელობითი ანალიზის მიზნით
პროგრამული პროდუქტების შექმნა

2014

პროექტის ხელმძღვანელი

ტექინფორმის მთ. მეცნიერ-თანამშრომელი,
ტ.მ.დ. მადონა კოპალეიშვილი

პროექტი შესრულებულია სტუ-ს ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი სამსახურის - „ერთად“ მონაწილეობითა და ფინანსური მხარდაჭერით.

ხელმძღვანელი - სტუ-ს სრული პროფესორი, ტ.მ.დ. მერაბ ახოზაძე

შემსრულებელი - სტუ-ს მე-2 კურსის სტუდენტი მაკა ქვლივიძე

2014 წლის პროექტის შედეგები

1. შემუშავდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული აღწერის ფორმატი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თითოეული მათგანისათვის განისაზღვრა Web of Science და Essential Science Indicators სისტემების ინდექსი, რაც აუცილებელი პირობაა ავტორიტეტულ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში მათ წარსადგენად.
2. სამეცნიერო ინფორმაციის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები საქართველოს სამეცნიერო პერიოდული გამოცემების სტანდარტიზაციის ისეთ საკითხებზე, როგორცაა:
 - პერიოდული გამოცემების გაფორმება,
 - პერიოდული გამოცემების სარჩევი,
 - გამოცემების და დოკუმენტების რეფერატები,
 - სტატიების გაფორმება პერიოდულ და სხვა სერიულ გამოცემებში,
 - ქართული ალფავიტის ნიშნების ტრანსლიტერაცია ლათინური ალფავიტის ნიშნებით,
 - გამოყენებული ლიტერატურის აღწერის სქემები,
 - ქართულ და ინგლისურ ენებზე რეფერატის შედგენის მოთხოვნები და მაგალითები.
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერიოდული გამოცემების სტატუსის ამალგების მიზნით რეკომენდებულია მათი ჩართვა საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში Ulrich's Periodicals Directory, შესწავლილი და აღწერილია აღნიშნულ ბაზაში ჩართვის პირობები, მოცემულია განაცხადის შევსების მაგალითი.
4. განსაზღვრულია XML-ფაილების სქემები უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების მონაცემთა ბაზის შესაქმნელად.
5. შემუშავებულია XML-ფაილების შექმნის პროგრამა.

სამუშაოს ეტაპები

- სტუ-ს სამეცნიერო შრომების კრებულისა და ჟურნალის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ არსებული მდგომარეობის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ჟურნალის სტრუქტურა, სტატიების გაფორმება, ციტირებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი რეფერატები, საგნობრივი ინდექსები და სხვ).
- ჩატარებული ანალიზის შედეგების გათვალისწინებით სტუ-ს სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოებისათვის რეკომენდაციების შემუშავება ჟურნალების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადების მიზნით.
- სტუ-ს სამეცნიერო ჟურნალების ულრიხის საერთაშორისო ბაზაში (Ulrich's Periodicals Directory) – ჩასართავად შესაბამისი განაცხადის მომზადება და გაგზავნის პირობების შემუშავება სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოებისათვის.
- სტუ-ს სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორებთან შეხვედრის ჩატარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჟურნალების მომზადების საკითხებზე.
- საერთაშორისო სტანდარტების აღწერილობების და რეკომენდაციების რედაქციებისთვის გადაცემა შემდგომი დანერგვის მიზნით.
- შემუშავებული სტანდარტების აღწერილობების და რეკომენდაციების საიტზე განთავსება.
- სტუ-ს ჟურნალებისათვის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების კლასიფიკატორების შერჩევა.
- ჩატარებული ანალიზის შედეგების დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით ადმინისტრაციული დოკუმენტის (რექტორის ბრძანება, განკარგულება) მომზადება, რომელიც დაავალდებულებს ჟურნალის რედაქტორებსა და გამომცემლებს გააფორმონ შემდგომი გამოცემები შემუშავებული რეკომენდაციებისა და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მათ განთავსებას.

სტუ-ს სამეცნიერო გამოცემები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები
- სტუ-ს ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული
- კერამიკა
- ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა
- არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები
- **Problems of Mechanics** - მექანიკის პრობლემები
- ბიზნეს ინჟინერინგი - **Business Engineering**
- წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შრომათა კრებული
- განათლება
- ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული
- ნავთობი და გაზი
- მშენებლობა
- ჰიდროინჟინერია
- ელექტრონული ჟურნალი - **Energynline (EOL)**
- ენერჯია
- მართვის ავტომატიზებული სისტემები
- სამთო ჟურნალი
- **Nano Studies** - ნანო კვლევები
- **Georgian Engineering News (GEN)** - საქართველოს საინჟინრო სიახლეები
- სოციალური ეკონომიკა
- მეცნიერება და ტექნოლოგიები

ჩატარდა სტუ-ს სამეცნიერო გამოცემების მონიტორინგი

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ ჟურნალს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები

და

მეცნიერება და ტექნოლოგიები

ძირითადი პრობლემები

1. სტატიები არ არის გაფორმებული სათანადოდ - ტექსტი არ არის სტრუქტურირებული, რაც აუცილებელი პირობაა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში მოსახვედრად
2. სტატიის რეფერატი არ შეესაბამება მოთხოვნებს, მკაფიოდ არ ასახავს სამუშაოს მიზანს, გამოყენებულ მეთოდებს, სამუშაოს შედეგებს
3. მცირერიცხოვანი და მოძველებულია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი
4. სათანადოდ არ არის გაფორმებული ბიბლიოგრაფია
5. ჟურნალებს არა აქვთ დამოუკიდებელი მისამართი ინტერნეტში და ის საიტებიც, რომლითაც წარმოჩინდებიან ინტერნეტ-სივრცეში, არ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს
6. სტატიების თემატური მიმართულებები არ შეესაბამება არც ერთ კლასიფიკატორს.

განსახილველი დარჩა სამეცნიერო სტატიის გაფორმების, ჟურნალის საიტის შექმნის, საერთაშორისო კლასიფიკატორის შერჩევის და Ulrich-ში განაცხადის გაგზავნის საკითხები.

საკითხები, რომელთა გამოსწორება მიმდინარეობს (სტუ-ს შრომების მაგალითზე)

- სარედაქციო კოლეგიაში შეყვანილია უცხოელი სპეციალისტები
- ჟურნალში გამოქვეყნებულია უცხოელი მეცნიერების სტატიებიც
- გამოყენებული წყაროების რაოდენობა შეძლებისდაგვარად გაზრდილია
- იშვიათად გვხვდება ძალიან მცირე ზომის რეფერატები
- მიმდინარეობს მუშაობა კლასიფიკატორის შერჩევაზე
- გამახვილდა ყურადღება ჟურნალის გაფორმებაზე.

სტრუქტურირებული ინგლისურენოვანი რეფერატის მაგალითი

Abstract

Objectives: The objective was to assess the efficacy of lipid emulsion as antidotal therapy outside the accepted setting of local anesthetic toxicity.

Methods: Literature was accessed through PubMed, OVID (1966–February 2009), and EMBASE (1947–February 2009) using the search terms “intravenous” AND [“fat emulsion” OR “lipid emulsion” OR “Intralipid”] AND [“toxicity” OR “resuscitation” OR “rescue” OR “arrest” OR “antidote”]. Additional author and conference publication searches were undertaken. Publications describing the use of lipid emulsion as antidotal treatment in animals or humans were included.

Results: Fourteen animal studies, one human study, and four case reports were identified. In animal models, intravenous lipid emulsion (ILE) has resulted in amelioration of toxicity associated with cyclic antidepressants, verapamil, propranolol, and thiopentone. Administration in human cases has resulted in successful resuscitation from combined bupropion/lamotrigine-induced cardiac arrest, reversal of sertraline/quetiapine-induced coma, and amelioration of verapamil- and beta blocker–induced shock.

Conclusions: Management of overdose with highly lipophilic cardiotoxic medications should proceed in accord with established antidotal guidelines and early poisons center consultation. Data from animal experiments and human cases are limited, but suggestive that ILE may be helpful in potentially lethal cardiotoxicity or developed cardiac arrest attributable to such agents. Use of lipid emulsion as antidote remains a nascent field warranting further preclinical study and systematic reporting of human cases of use.

ACADEMIC EMERGENCY MEDICINE 2009; 16:815–824 a 2009 by the Society for Academic
Emergency Medicine

მონაცემთა ფორმატი, რომელიც უნდა შეივსოს ჟურნალის Ulrich-ის ბაზაში ინდექსირებისათვის

- გამოცემის დასახელება (Title);
- ISSN;
- პერიოდულობა (Frequency);
- გამოცემის ტიპი (SerialType – Journal, Magazine, Bulletin, Newsletter, Newspaper, Monographic и др.) – განისაზღვრება გამოცემის აღწერის და შინაარსის მიხედვით;
- ფორმატი (Format - Print, Online) – თითოეულ ფორმატზე უნდა შედგეს ცალკე აღწერა;
- სტატუსი (Status - Active, Ceased, Merged и т.д. – აქტიური, შეწყვეტილი, შერწყმული და სხვ.) - იმის გამო, რომ აღწერილობა ბაზაში შენარჩუნდება, ეს ჩანაწერი აღნიშნავს გამოცემის ამჟამინდელ მდგომარეობას;
- გამოცემის თემატური რუბრიკები (Subject Codes) – განისაზღვრება საიტზე მოცემული ჟურნალის აღწერილობის მიხედვით;
- გამომცემელი (Publisher);
- ქვეყანა (Country);
- გამოცემის პირველი წელი (StartYear);
- ისტორია (History) – დასახელების შეცვლა, ცვლილებების წლები, შერწყმა სხვა გამოცემასთან, ჟურნალის გაყოფა და ა.შ.;
- გამოცემის შინაარსის ტიპი (ContentType) - სამეცნიერო (Academic/Scholarly), დარგობრივი, სპეციალიზირებული (Trade), ოფიციალური (Government), სამომხმარებლო, მასიური (Consumer), ბიბლიოგრაფიული (Bibliography) и სხვ.
- ჟურნალის აღწერა რედაქციის მიერ (EditorialDescription) – ჟურნალის შინაარსის დახასიათება რედაქციის მიერ (ანოტაცია);
- ჟურნალის საიტის მისამართი (Website);
- ენა (Language) – სრული ტექსტის და ანოტაციების (რეფერატების) ენა;
- ერთ გამოცემაში გვერდების რაოდენობა (PageperIssue);

- გამოცემასთან დაკავშირებული სხვა დასახელება (RelatedTitles) – თუ არსებობს;
- ჟურნალის ალტერნატიული დასახელება (AlternativeTitle) – თარგმნილი ვერსიის დასახელება;
- დასახელების აბრევიატურა (AbbreviatedTitle);
- პარალელური დასახელება (Parallel Title) – პარალელური დასახელება ინგლისურ ენაზე;
- შემოკლებული დასახელება (Short Title);
- საკვანძო მახასიათებლები (Key Futures)*
- სხვა მახასიათებლები – რეკლამის არსებობა (Advertisingincluded), არქივის მისაწვდომლობა (Backissuesavailable), საძიებლების, ბიბლიოგრაფიის და სხვ. არსებობა;
- მონაცემები მთავარი რედაქტორის შესახებ (Editors, Editors Contact) – გვარი, საკონტაქტო მონაცემები;
- მონაცემები გამომცემლის და დამფუძნებლის შესახებ (Publishers, Publishers Contact, Publisher & Ordering Details) – გვარი, გამომცემლობა, ორგანიზაცია-დამფუძნებელი, საკონტაქტო ინფორმაცია, მისამართი და სხვ.;
- ბეჭდური გამოცემის ტირაჟი, ხელმოწერის ფასი და სხვ.

* ჟურნალის საკვანძო მახასიათებლებს (Key Futures) Ulrich's მიაკუთვნებს შემდეგ ინფორმაციას:

- რეგისტრაცია Copyright Clearance Center (CCC);
- რეფერირება და ინდექსირება (Abstracted or Indexed);
- ჟურნალის ვებ-გვერდი (Website URL);
- ონლაინ წვდომა (Available Online);
- ღია დაშვება (Open Access);
- ჟურნალის რეცენზირება (Refereed / Peer-reviewed);
- იმპაქტ-ფაქტორი (Journal Citation Reports);
- მხოლოდ ელექტრონული ფორმა (Electronic-only).

Basic Description	
Title	Georgian Abstracts Journal
ISSN	1512-0775
Publisher	Technical University of Georgia, TECHINFORMI
Country	Georgia
Status	Active
Start Year	2000
Frequency	Biannual
Volume Ends	Winter, 2013
Language of Text	Georgian-English
Refereed	Not applied
Abstracted/Indexed	Yes
Serial Type	Journal
Content Type	Academic/Scholarly
Format	Print
Website	http://tech.caucasus.net/Eng/QRJ.html
Description	Contains abstracts of the publications of Georgian scholars in the science and technology sphere. Abstracts are made based on the articles published in Georgian scientific periodicals, collected papers of research institutions and universities, deposited gray literature, dissertations, scientific monographs.
➤ Subject Classifications	
➤ Additional Title Details	
➤ Title History Details	
➤ Publisher and Ordering Details	
➤ Price Data	
➤ Online Availability	
➤ Other Availability	
➤ Demographics	
➤ Reviews	
The journal's subjects encompass four main directions: Social Sciences; Natural and Exact Sciences; Technical and Applied Sciences (Sectors of Economy); and Intersectoral Problems. The journal has subject entries, author's and subject indexes.	

Ulrich's Periodicals Directory - მისამართი:

Shawn Chen

Sr. Associate Editor, Serials

ProQuest

630 Central Ave

New Providence, NJ 07974 USA

Toll Free (in US) 1-800-346-6049

TEL 1-908-219-0287 FAX 908-219-0182

განაცხადი იგზავნება შემდეგ მისამართზე:

Shawn.Chen@serialssolutions.com

საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების კლასიფიკატორები

შესწავლილი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების
კლასიფიკაციის სისტემები:

- **Web of Science (WoS)**
- **Scopus**
- **Essential Science Indicators (ESI)**
- **OECD**
- **Google აკადემია**
- **Ulrich`s Periodical Directory**
- **იუნესკო**
- **ეროვნული და რეგიონალური კლასიფიკატორები**

- **Web of Science (WoS)**-ს ძირითადი კლასიფიკატორი ერთდონიანია, მასში 250-მდე მიმართულებაა, მათ შორის 171 მიეკუთვნება ფუნდამენტურ და საინჟინრო მეცნიერებებს, მედიცინას და სოფლის მეურნეობას, 46 - სოციალურ მეცნიერებებს, 29 - ჰუმანიტარულ მეცნიერებებს.
- **Scopus** კლასიფიკატორი (All Science Journals Classification Codes - ASJC) ორდონიანია, შეიცავს 27 თემატურ რუბრიკასა და 308 ქვერუბრიკას. თემატურად ისინი ნაწილდება შემდეგნაირად: ფიზიკური მეცნიერებები - 32%, სამედიცინო - 31%, მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ - 20%, სოციოჰუმანიტარული მეცნიერებები - 17%.
- **Essential Science Indicators** კლასიფიკატორი შეიცავს მხოლოდ 22 თემატურ რუბრიკას. თითოეულ ჟურნალს მიკუთვნებული აქვს ერთი ან რამდენიმე კატეგორია, რომელიც ავტომატურად ენიჭება ჟურნალში განთავსებულ პუბლიკაციებსაც. ეს იწვევს გარკვეულ უზუსტობას კლასიფიცირების დროს. ზოგიერთი რეიტინგული პოლითემატური ჟურნალების („Nature”, „Science” და სხვ.) სტატიების ინდექსაცია ხდება ინდივიდუალურად ციტირებული ლიტერატურის თემატიკის მიხედვით.

- **Google** აკადემია სტატიების კლასიფიცირებას ახდენს ისევე, როგორც თვით მეცნიერები, ამასთან ახდენს თითოეული სტატიის ტექსტის, მისი ავტორის, გამომცემლობის და სამუშაოს ციტირების სიხშირის შეფასებას.
- **OECD FoS** კლასიფიკატორი ორდონიანია და აღინიშნება ორი ციფრით, მაგ. 1.3 აღნიშნავს ფიზიკის მეცნიერებებს. უფრო დეტალური ინდექსირება ამ კლასიფიკატორით არ ხდება.
- **Ulrich`s Periodical Directory** გამოცემების კლასიფიცირებას ახდენს აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის კლასიფიკატორის (Library of Congress subject classifications) და დიუის უნივერსალური ათნიშნა კლასიფიკატორის (Dewey Decimal Classification) გამოყენებით. ამჟამად მას აქვს 100-მდე თემატური რუბრიკა და 950-ზე მეტი ქვერუბრიკა.

კლასიფიკატორების ანალიზი

სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეცნიერების დარგების სისტემატიზაციის პრინციპები მნიშვნელოვნად გასხვავდებიან ერთმანეთისგან გამოყენებული საკლასიფიკაციო სქემების მიხედვით.

შესაბამისად, სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით სარგებლობისას წარმოიშობა საკლასიფიკაციო სისტემების დაპირისპირების პრობლემა.

ამიტომ დღის წესრიგში დგას კლასიფიკაციის ერთი სქემიდან მეორეზე გადასვლის ეფექტური ინსტრუმენტების შემუშავება.

კლასიფიკატორების კორელაცია

კომპანია Thomson Reuters-მა შეიმუშავა OECD FoS კლასიფიკატორის გადამყვანი Web of Science-ს კლასიფიკატორზე, რომელშიც WoS-ს თითოეული კატეგორია მიწერილია OECD FoS მეორე დონის ერთ-ერთ მიმართულებაზე.

არსებობს OECD FoS კლასიფიკატორის გადამყვანი Scopus-ის კლასიფიკატორზეც, რომელიც შეიმუშავა საბერძნეთის ეროვნულმა დოკუმენტაციების ცენტრმა (Greek National Documentation Centre). მიიჩნევენ, რომ იგი შედგენილია არასაკმარისად ზუსტად და პრაქტიკაში არ გამოიყენება.

კლასიფიკატორების კორელაცია

კოდი	OECD კლასიფიკაცია	კოდი	WoS თემატური ინდიკატორი
1.1.	მათემატიკა	PQ	მათემატიკა, გამოყენებითი
		PN	მათემატიკა, ინტერდისციპლინარული პროგრამები
		MC	მათემატიკა
		UF	ფიზიკა, მათემატიკური
		XY	სტატისტიკა და ალბათობა

საერთაშორისო ბაზების შედარება

- დოკუმენტების 2/3 რეფერირებულია ორივე მონაცემთა ბაზაში
- ზოგი ჟურნალი Scopus-ში შეიძლება მოცემულ იყოს ნაწილობრივ
- WoS მოიცავს უმთავრესად ჩრდილოეთ ამერიკის და დასავლეთ ევროპის პუბლიკაციებს
- Google Scholar-ში კარგადაა მოცემული როგორც საერთაშორისო, ასევე არა-ინგლისურენოვანი ჟურნალები
- პუბლიკაციების რანჟირება თითქმის ერთნაირია Scopus-ში და WoS-ში, Google Scholar-გან განსხვავებით
- Scopus უკეთესად ასახავს საზოგადოებრივ (სოციალურ) მეცნიერებებს
- Scopus ასახავს მეტი რაოდენობის ჟურნალს, ვიდრე WoS
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ჟურნალების უმეტესობას, რომლებიც ასახულია Scopus-ში და არ არის WoS-ში, აქვს კარგი ციტირების მაჩვენებელი
- მხოლოდ WoS-ში რეფერირებული დოკუმენტების უმეტესობა არ არის ციტირებული.

ზოგადი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ Scopus აქვს უფრო ფართო მოქმედების ზონა, საშუალოდ 104% WoS-თან შედარებით.

დასკვნა

1. შესწავლილ იქნა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების Web of Science (WoS)-ს, Scopus-ის, Essential Science Indicators (ESI)-ს, OECD-ს სამეცნიერო კვლევების, Google აკადემიის, Ulrich`s Periodical Directory-ს, იუნესკოს, აგრეთვე ზოგიერთი ქვეყნის ეროვნული და რეგიონალური კლასიფიკატორები
2. განხილული სამეცნიერო ბაზები მიეკუთვნებიან საერთაშორისო, უნივერსალურ მონაცემთა ბაზებს ერთმანეთისგან განსხვავებული საკლასიფიკაციო სქემებითა და თემატური რუბრიკების რაოდენობით
3. ერთი საკლასიფიკაციო სქემის კოდებიდან მეორეში გადასვლის სანავიგაციო სისტემების შექმნა უმნიშვნელოვსი საკითხია საერთაშორისო ბაზების საკლასიფიკაციო სისტემების განვითარების საქმეში
4. შესწავლილ იქნა საქართველოში მოქმედი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კვლევების მიმართულებების კლასიფიკატორი, რომლის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების კლასიფიკატორებთან შესაბამისობაში მოყვანა უახლოეს ამოცანად მიგვაჩნია
5. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემების კლასიფიცირებისას გამოყენებულ იქნას გამომცემლობა Elsevier-ის მონაცემთა ბაზის Scopus-ის კლასიფიკატორი.
6. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს ტექნიკური მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა კლასიფიკატორების ნაკრბის ქართულ-ინგლისური ვერსიის რედაქტირება, ქართული ტერმინების დაზუსტება ენათმეცნიერებთან ერთად და გამოცემა სტუ-ს საგამომცემლო სახლის მხარდაჭერით.

გმადლობთ ყურადღებისთვის!

tech@caucasus.net

nellym@caucasus.net

ტელ.: 233 5315